ᲗᲣ ᲗᲔᲠᲛᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲐᲒᲘᲢᲧᲓᲐᲗ



ᲩᲐᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

ჩაის, როგორც წამალს, 1000 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მისი სამკურნალო თვისებები ბევრ წერილობით წყაროშია აღწერილი. მას თერაპიულ ეფექტსა და გამაჯანსაღებელ ფუნქციას სძენს მთრიმლავი, ეთეროვანი ნივთიერებები, ამინომჟავები, პიგმენტები და ვიტამინები, რომლებსაც შეიცავს ეს მცენარე და მისი ნაყენი.

ჩაი ონკოლოგიური დაავადებების საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. ჩაის პოლიფენოლები ეწინააღმდეგება და ხელს უშლის კიბოს უჯრედების წარმოქმნას და აძლიერებს ორგანიზმის დამცველ ძალას. მწვანე ჩაის შეუძლია 90%-ით შეაჩეროს ორგანიზმში მავნე ნივთიერებების მოქმედება.

სხივური თერაპიის დროს პირღებინების, გულისრევის შეგრძნების, უმადობის მოსახსნელად უნდა დალიონ ჩაი.

ჩაის სმა, ჩაით პირის ღრუს გამორეცხვა და კბილების რეგულარულად ჩაით გაწმენდა ხელს უშლის კარიესის განვითარებას და პაროდონტოზის საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, ჩაი ორგანიზმს უნარჩუნებს კალციუმს, რაც ასე საჭიროა კბილებისთვის, იცავს მათ კარიესისგან. C ვიტამინი და სხვა ნივთიერებები, რომლებსაც ჩაი შეიცავს, დადებითად მოქმედებს თვალებზე და აუმჯობესებს მხედველობას. ჩაი ასევე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. ჩაის პოლიფენოლები ხელს უშლიან ჰიპერტონიას, თრომბის, ათერომის წარმოქმნას, აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას. რეკომენდებულია ნგ მწვანე ახალდაყენებული ჩაის ყოველდღე სმა.

ჩაი ხელს უშლს ნაწლავების დაავადებას. ორგანული მჟავებით და არომატული მჟავებით მდიდარი ჩაი ეხმარება ორგანიზმს შიგელეზას, ქრონიკული ენტერიტისა და სხვა დაავადებების განკურნებაში, აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესს და ხელს უწყობს გახდომას.

ჩაი ააქტიურებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აჩქარებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. ადამიანს მატებს მხნეობას.

ჩაი აფერხებს დაბერების პროცესს, ხელს უწყობს შაქრიანი დიაბეტის დროს სისხლში შაქრის დონის შემცირებას, ხელს უშლის გაცივებას, ტრაქეიტისა ჰიპერთირეოზის განვითარებას, გამოდევნის ორგანიზმიდან მავნე მარილებსა და ტოქსინებს. ჩაი რკინისა და სპილენძის წყაროა, რითაც ხელს უწყობს ჰემოგლობინისა და ერითროციტების ფორმირებას, შველის ღრძილებიდან სისხლდენას.

გადახდილი თანხის უკან დაბრუნებით!
ქოლესტერინის და გლუკოზის აპარატები


მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)
ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

ᲮᲣᲗᲘ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲭᲝᲚᲘ ᲥᲐᲠᲘ, ᲧᲘᲜᲕᲐ, ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲛᲝᲗᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲣᲦᲝᲜᲝᲑᲐᲡ, ᲒᲐᲪᲘᲕᲔᲑᲐᲡ, ᲙᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲣᲮᲔᲨᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲠᲪᲕᲚᲐᲡ. ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲜᲐᲓ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲒᲘᲪᲐᲕᲗ ᲡᲔᲖᲝᲜᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲒᲐᲒᲘᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲗ ᲒᲣᲜᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲡ.

A ვიტამინი მონაწილეობს დამჟანგავ-აღდგენით პროცესებში, ცილების სინთეზის რეგულირებაში, აუცილებელია ახალი უჯრედების წარმოსაქმნელად. მისი უკმარისობა იწვევს კანის სიმშრალეს. ფრჩხილები იმტვრევა, ჩნდება კოჟრები, თმა კარგავს ბზინვარებას, ცვივა, ჩნდება ქერტლი, უარესდება მხედველობა. A ვიტამინის დღეღამური ნორმაა 1 მგ. მისი წყაროა: ღვიძლი, თევზის ქონი, კარაქი, რძე, კვერცხის გული, ისპანახი, გოგრა, ოხრახუში.

B_1 ვიტამინს წამყვანი როლი აკისრია ნახშირწყლებისა და ცხიმების მეტაბოლიზმის პროცესში, ეხმარება გულ-სისხლძარღვთა სისტემას მუშაობაში, აუმჯობესებს გონებრივ შესაძლებლობებსა და გუნება-განწყობილებას. მისი უკმარისობა იწვევს გაღიზიანებას, უძილობას, უმადობას. B_1 ვიტამინის დღეღამური ნორმაა 2-3 მგ. მისი წყაროა ქატოს პური, ბრინჯი, წიწიბურა, კაკალი, ქლიავი, თევზი, ხორცი, შავი ყურძენი.

B_6 ვიტამინი ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ცილების ათვისებას, მონაწილეობს სისხლის წითელი სხეულაკებისა და ჰემოგლობინის წარმოქმნაში. მისი უკმარისობა იწვევს დეპრესიას, კანისა და სისხლის დაავადებებს.

B_6 ვიტამინის დღეღამური ნორმაა 2მგ. მისი წყაროა: მარცვლეული, საფუარი, პარკოსნები, ბანანი, კაკალი, კარტოფილი, ღვიძლი, თევზი, კვერცხი, შავი ყურძენი.

C ვიტამინი ამაგრებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ სწრაფად გამოჯანმრთელებას, აუცილებელია კოლაგენისა და ელასტინის წარმოქმნისთვის, რომლებიც საჭიროა კანის სტრუქტურისათვის, ხსნის სტრესს. C ვიტამინის დღეღამური ნორმაა 60 მგ. წყაროა: კომბოსტოს მწნილი, შავი მოცხარი, ციტრუსები, კარტოფილი, შავი ყურძენი.

E ვიტამინი აუმჯობესებს კანის მდგომარეობას, ანეიტრალებს თავისუფალი რადიკალების მოქმედებას, აუცილებელია ქსოვილების რეგენერაციისთვის. E ვიტამინის დეფიციტის დროს კანი სწრაფად ჭკნება, მასზე ჩნდება პიგმენტური ლაქები.

E ვიტამინის დღეღამური ნორმაა 8 მგ. წყაროა: ქატო, მწვანე ბოსტნეული, მცენარეული ზეთი, მზესუმზირა, კაკალი, პარკოსანი.

E ვიტამინის გამომუშავებას ხელს უწყობს მზის სხივები. მას შეიცავს რძემჟავა პროდუქტები, მცენარეული ზეთი, კარაქი და თევზი.

„ᲙᲐᲛᲔᲚᲘᲜᲘᲡ“ 2-3 ᲙᲐᲤᲡᲣᲚᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲡᲘᲓᲐᲜᲢᲣᲠ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ

ანტიოქსიდანტები ორგანიზმის ჯანმრთელობაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ანტიოქსიდანტი არის მოლეკულათა ჯგუფი, რომელიც ხელს უშლის ან ანელებს სხვა მოლეკულების დაჟანგვის პროცესს. ორგანიზმში ჟანგვითი პროცესები ბუნებრივი სასიცოცხლო აუცილებლობაა, თუმცა ამ პროცესს თან ახლავს ე.წ. „თავისუფალი რადიკალების“ წარმოქმნა. თავისუფალი რადიკალი არის მაღალი აქტივობის მოლეკულა, რომელიც ორგანიზმში წარმოიქმნება ჟანგვითი პროცესების დროს. თავის მხრივ თავისუფალი რადიკალები იწვევენ ჯაჭვურ რეაქციას და აზიანებენ უჯრედებს. სწორედ უჯრედების დაზიანება იწვევს ორგანიზმში არასასურველი მოვლენების განვითარებას, სწრაფ დაბერებას და დაავადებებს, როგორიცაა კიბო, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სხვა პათოლოგიები. ანტიოქსიდანტები ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების მოქმედებას აკონტროლებენ. ისინი უჯრედულ დონეზე ამცირებენ ჰიპეროქსიდაციის პროცესს და ამით იცავენ უჯრედებს შემდგომი დაზიანებისგან. თსსუ-ის ფარმაცევტული ფაკულტეტის, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის, ფარმაცევტ თამაზ მურთაზაშვილის ხემძღვანელობით კიდევ ერთხელ შესწავლილ იქნა პრეპარატ „კამელინის“ ანტიოქსიდანტური აქტივობა.

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲣᲠᲗᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— როგორც ცნობილია, 2004 წლიდან პრეპარატ „კამელინის“ ავტორის პირად არქივებში დაცულ უზარმაზარ პრაქტიკულ მასალაზე დაყრდნობით დაფუძნდა თანამედროვე სტანდარტების მქონე ფარმაცევტული კომპანია „კამელინი“ და შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი. დაიწყო პრეპარატ „კამელინის“ უნიკალური თვისებების ახლებური კვლევა საქართველოსა და საზღვარგარეთის წამყვან სამეცნიერო კლინიკურ ინსტიტუტებში. „კამელინზე“ განხორციელებულმა კვლევებმა ცხადყო პრეპარატის დიდი პოტენციალი, როგორც ანტიბიოტიკებისადმი მდგრადი ბაქტერიების, ვირუსებისა და სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ, ასევე სიმსივნის წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდგომმა ექსპერიმენტულმა და კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ „კამელინი“ ხასიათდება სხვა თვისებებითაც. „კამელინის“ სუბსტანციაზე წამლის სხვა ფორმების (კაფსულები, მალამო, სანთლები, სპრეი) შექმნამ, ასევე ორგანიზმში შეყვანის ახალმა მეთოდებმა (ელექტროფორეზი, ულტრაფონოფორეზი, ინჰალაცია და სხვ.) მნიშვნელოვნად გააფართოთვა ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენების სფერო. „კამელინი“ 100%-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიულია, გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, რეგენერაციის, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. „კამელინი“ ქართული წარმოების ორიგინალური, განსაკუთრებული სახეობის თაფლისაგან დამზადებული სამკურნალო პროფილაქტიკური საშუალებაა. შეიცავს ფუტკრის ცხოველქმედების ბიოლოგიურად მაღალაქტიურ ნივთიერებებს: კეტონებს, ეთერებს, ბიოორგანულ მჟავებს, ფენოლებს, ალდეჰიდებს, ფურფუროლს და ძლიერი იმუნომოდულაციური თვისებებით გამოირჩევა, აქედან გამომდინარე „კამელინი“ ყოველთვის იქნება მეცნიერების, ექიმების და მით უმეტეს ფარმაცევტების კვლევის საგანი. სწორედ ამიტომ ჩემს მაგისტრანტს სადიპლომო თემად ვურჩიე პრეპარატ „კამელინის“ ანტიოქსიდანტური თვისებების შესწავლა ინვიტრო კვლევების საფუძველზე. კვლევის მიზანს შეადგენდა „კამელინის“ ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლა რეაქტივთან სპექტროფოტომეტრული მეთოდით. კვლევები ვაწარმოეთ პრეპარატის 3 სხვადასხვა სერიაზე, თითოეულის 3 ნიმუშზე. კაფსულების შიგთავსის 1,12 მგ/მლ კონცენტრაციის ხსნარს გააჩნია ანტიოქსიდანტური აქტივობა. კვლევებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ ზრდასრულ ადამიანებში (ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მოთხოვნის საშუალო სადღეღამისო ნორმა 360მგ-ს შეადგენს) „კამელინის“ 2-3 კაფსულა სრულად უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს.

პრეპარატ „კამელინის“ გამოყენება პროფილაქტიკური თვალსაზრისით, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტის, დაგიცავთ აღნიშნული პრობლემებისგან.

პაციენტი ნ.კ. — დიაგნოზი — მკერდის სიმსივნე, ორჯერ ჩაიტარა ქიმიოთერაპია. შემდეგ კი დაიწყო „კამელინ მ 1“ ინიექციების გაკეთება, ტკივილი პირველი კურსიდანვე მოეხსნა, მოემატა ენერგია, თანდათან გაუუმჯობესდა საერთო მდგომარეობა. მეორე კურსიდან შედეგები უკვე თვალში საცემი იყო: ტკივილის სრული კუპირება, სიმსივნური პროცესის შეჩერება, მოცულობაში შემცირება, საერთო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. გავიდა 5 წელი და პაციენტი დღეს მხოლოდ პროფილაქტიკური თვალსაზრისით იტარებს კამელინოთერაპიას.

პაციენტი ქ. მ. დიაგნოზი — საშვილოსნოს ავთისებიანი სიმსივნე, ოპერაციაზე უარი ეთქვა და დაენიშნა სხივური თერაპია, რომლის პარალელურად დაიწყო მკურნალობა „კამელინით“. ჩაიტარა კამელინოთერაპიის 6 კურსი ზედიზედ, მდგომარეობა საიმედო და სტაბილური გახდა, დღეს პაციენტი სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანია, მხოლოდ წელიწადში ორჯერ გადის საკონტროლო სამედიცინო შემოწმებას და პროფილაქტიკური მიზნით იტარებს კამელინოთერაპიას.

პაციენტი ზ.ხ. დიაგნოზი — სათესლე ჯირკვლის სიმსივნე. მკურნალობდა პრეპარატ „კამელინის“ ინექციებითა და სანთლებით, ერთი კურსის შემდეგ სათესლე ჯირკვალი ზომაში საგრძნობლად დაპატარავდა, სიმაგრემაც იკლო, ჩივილები ალაგდა, სამი კურსის შემდეგ კი პაციენტი აღარაფერს უჩივის, სრულიად ჯანმრთელი და შრომისუნარიანია.

R

მოამზადა მაია ცომაიამ

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ:
2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი); 2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08; 599-33-10-89; 599-58-09-07; 577-73-56-51; 599-23-03-33; www.camelyn.ge